№ 72 აპრილი 3, ოთხშაბათი — 1891 — აპრილი 3, ოთხშაბათი № 72

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაწერად და ყოველი განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, ო. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

გაზეთი „ივერია" პირველ აპრილიდგან წლის დამლევამდე ღირს 8 მ.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი იუწყება თავად-აზნაურობის სახელით, რომ ხუთშაბათს, 4 აპრილს, დილის 12 საათზედ, სიონის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქმნება პანაშვიდი ღვთივ-განსვენებულ ხელმწიფის დიდის მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულის მოსახსენებლად. (2—1)

გორის მაზრის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი კრება შესდგება აპრილის 12 დღესა. ამაზედ გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი აუწყებს რწმუნებულ მისდამი მაზრის თავად-აზნაურთ და უმორჩილესად სთხოვს მობრძანდნენ ქ. გორს დილის ათ საათზედ და წინათვე წარმოადგინონ საბუთი კენჭით აღმორჩევისა. (3—2)

ტფილისი, 2 აპრილი

გაზაფხული დადგა და მოახლოვდა მასთან ერთად დროც სხვა-და-სხვა არჩევანებისა. მაისში მოხდება ბანკისა და გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებანი. თითო-ოროლა მაზრებში უკვე მომხდარა სამაზრო კრება, თუმცა, სამწუხაროდ, ადგილობრივ გაზეთებში კრინტიც არ დაუძრავთ, თუ რა დაადგინეს ამ კრებებზედ. კერძოდ შევიტყვეთ, რაზედაც ჰქონიათ სჯა და baasi ერთ სამაზრო კრებაზედ და მისმა დადგენილობამ სრულიად გაგვაკვირვა. ალბად ამისთვისაც ადგილობრივმა კორესპონდენტებმა ხმა ვერ ამოიღეს გაზეთებში და სათაკილოდ დაინახეს კეთილშობილის წოდებისთვის გამოქვეყნება და გამოაშკარავება ყველა იმისი, რაზედაც უოფილა ლაპარაკი.

კრებას ხმის უმეტესობით დაუდგენია, ვითხოვოთ, სადაც ჯერ არს, თავიდამ მოგვაცილონ ერთი პატარა მოხელე, რომელიც თურმე, თავად-აზნაურთა წარმომადგენლების აზრით, შეურაცხებას აყენებს და ამცირებს მას თავისის საქციელით და მოქმედებით. ამ საკვირველისა და არა „ჩვეულებრივის" დადგენილობის შემდეგ კრება შესდგომია მეორე საგნის განხილვას, მოგროვილის ფულით სადილი გავუმართოთო და სხვა ამ გვარი...

ზემოდ დასახელებულ დადგენილებას ჩვენ ვუწოდეთ „არა ჩვეულებრივი", რომელმაც გაგვაკვირვა და გაგვაოცა. ასეთის შეხედულებისთვის საფუძველიც მოიძებნება. დრო იყო—და მას უკან ბევრ ჟამსაც არ გაუვლია,—რომ სამაზრო კრებაზედ გაცხარებული baasi და სჯა ჩამოვარდებოდა ხოლმე იმისთანა საგნებზედ, რომელსაც საქვეყნო მნიშვნელობა ჰქონდა. თავად-აზნაურთა წარმომადგენელთა ორატორნი აღტაცებით და დიდის მხნეობით ლაპარაკობდნენ იმას, რომ ვსთხოვოთ მთავრობას, მოგვანიჭოს ერობა, რომელმაც დიდი სარგებლობა მოუტანა შიდა რუსეთს და რომელსაც მარტო ბრმანი და სულით უძლურნი არა ჰხედავენო; ვითხოვოთ, სწავლა-განათლება ჩვენის ცხოვრების შესაფერი იყოსო, რომ სასწავლებლებში სამშობლო ენას ჯეროვანი და ფართო გზა მიეცესო.

ამას გარდა კრებანი სამართლიანად ჰფიქრობდნენ, რომ განათლების შესახებ მთავრობას გვერდში ამოვუდგეთ, შევადგინოთ საკუთარი თანხა და მით ხელი შევუწყოთ მოზარდ თაობის სწავლა-განათლებას. გვეყო სხვის ხელში ყურება. დროა ჩვენ თავზე ჩვენვე ვიზრუნოთ, ხშირად გაისმოდა ეს სასიამოვნო აზრი თავად-აზნაურთა სამაზრო კრებაზედ.

მკითხველს, უეჭველია, ეხსომება ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილი პატივცემულის დურმიშხან ქურულისა. სამართლიანად გამწყრალი და აღელვებული მოხუცი ქვეყანას აუწყებდა, რა შავსა და ბნელს მდგომარეობაშია ეხლანდელი მოზარდი თაობა, მოკლებული აღზრდას და განათლებას. დაუფარავად ამხილებდა მკითხველს საზოგადოებას ავტორი წერილისა, რომ ეხლანდელ ახალგაზდების სიბრიყვემ და უზდელობამ ილაჯი წაილოვო და მათის ავ ზნეობის გამო მოსვენება და მყუდრო ცხოვრება აღარა გვაქვს სოფლადაო. დასასრულ, პატივცემული ავტორი ემუდარებოდა ქართველ საზოგადოებას, მიაქციეთ ჯეროვანი ყურადღება ყმაწვილების ასეთ უგვანს მდგომარეობას და იღონეთ რამე ჭკუის სიბნელის წინააღმდეგ საბრძოლველადო, თუ გიყვართ სამშობლო და მართლა გული შეგტკივათ მისთვისაო.

დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს წრფელის გულიდამ ამოსული სიტყვები მიიქცევდა ყურადღებას თავად-აზნაურების კრებისას და სჯა და baasiც ამ უმთავრეს საგანს არ ასცილდებოდა, მით უმეტეს, რომ წინა კრებათა დადგენილება თანხის შედგენის თაობაზე სწავლა-განათლების გაძლიერებისათვის ჩვენში ჯერ სისრულეში არ არის მოყვანილი. მაგრამ რწმენაც და იმედიც გაგვიმტყუნდა და ბ-ნ ქურულის მოწოდებაც დარჩენილა იმავე ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, როგორც ბევრი რამ სხვა კეთილი და გონიერი რჩევა.

სანუგეშოდ ის-ღა დაგვრჩენია, რომ ეგებ დანარჩენის მაზრების მორიგმა კრებებმა უფრო მეტი გულმტკივნეულობა და წინდახედულობა გამოიჩინოს, ვიდრე ჩვენგან ნიშანში ამოღებულმა მაზრამ გამოიჩინა და კრებებზედ არ ჩამოაგდოს baasi არიფანას გამართვაზე. სხვა არა იყოს-რა, სირცხვილია, და თავის მოჭრა ჩვენთვის სადილების გამართვაზე ლაპარაკი საჯაროდ. ქეიფებში აბა ჩვენ ვინ შეგვედრება, ვგონებთ ქვეყანაზე ტოლი არა გვყავს და აბა ამას რაღა დაკანონება და დალოცვა უნდა!..

საბედნიეროდ, მარტო ცარიელი იმედები არ დაგვრჩენია, შეიძლება სხვის მაგალითით, ცოტათიც არის, გული მოვიფხანოთ და დარდები გადვიყაროთ. რუსულ ჟურნალების სიტყვით ძალიან ცუდი ზნე დასჩემებია სარატოვის თავად-აზნაურობის კრებებს. ყოველ წელიწადს თურმე საგუბერნიო კრებაზედ იმის შესახებ აქვთ სჯა და ლაპარაკი, წელს რა ვთხოვოთ მთავრობასაო. საქმე იქამდე მისულა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი იძულებული გამხდარა ეუწყებინა თავად-აზნაურთა წინამძღოლისათვის, რომ თქვენის სათხოვარის შეწყნარება ყოვლად შეუძლებელია და საწინააღმდეგო სახელმწიფო ინტერესებისათვისაო. მდაბიო ენით რომ გამოვსთქვათ, სარატოვის თავად-აზნაურობის სხვა-და-სხვა თხოვნის შინაარსი, ის გამოვა, რომ მთავრობა მოვალეა გვაძლიოს ჩვენ ფულიო, რადგან ჩვენმა მამა-პაპამ დიდი სამსახური გაუწია სამშობლოსაო. როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, შინაგან საქმეთა მინისტრმა ამ გვარი თხოვნების შეწყნარება მოუხერხებელ საქმედ დაჰსახა და სათხოვარზედ უარი შეუთვალა. დასასრულ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სარატოვის თავად-აზნაურობის წრევანდელი კრებაც ისე დაბოლოვდა, როგორც იმ მაზრისა, რომელზედაც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი. კრების [illegible] ვიწერეთ და ისე გავმართოთ ჩვეულებრივი ბალი, თუ დავხარჯოთ ამისათვის ის ფული, რომელიც გადარჩა წლის ხარჯსაო. კრებამ ერთ ხმად გადასწყვიტა: ბალს მოხმარდეს დარჩენილი ფული, იმ პირობით-კი, რომ ბალი იყოს „მეტად მხიარული, კარგი და ბრწყინვალეო".

ა. ფრონელი

---

## ფელეტონი

### ესკიზი

#### I

საცოდავი ნიკო და მისი მეუღლე ეკა ყვავილმა იმსხვერპლა, და ამათ ორი ობოლი დარჩათ: შვიდის წლის ვაჟი, გიგო, და ცხრა წლის ქალი, მზისა, რომელიც მშვენიერებით მართლა რომ მზის დარი იყო და სამართლიანადაც ატარებდა ის თავის სახელს. რადგან მშობლების დაკარგვის შემდეგ ის ორი და-ძმა სრულიად უპატრონოდ იყვნენ, სოფლის საზოგადოებამ დაუნიშნა მზრუნველად მათივე ბიძა, ეგნატე, რომელიც დიდის ხნიდგან გაყროდა ნიკოს და ცალკე გაეჩაღებია კერა. ეგნატემ ობლები მაშინვე თავისთან წაიყვანა და ძმის ყოველი ნადგამობა გაჰყიდა; ადგილ-მამულს-კი, ზოგს თითონ უვლიდა, და ზოგი იჯარითა ჰქონდა გაცემული. ამისთანა შემთხვევამ ძალიან მოუმართა ხელი ეგნატეს და, თუმცა-ღა წინად, ძმის სიცოცხლეში, ერთობ მიეუკანკარისხებინა სიღარიბეს, ეხლა ბედმა გაუღიმა: ჩვენმა ეგნატემ ხელი კარგად მოითბო ობლების უძრავ-მოძრავ ქონებაზედ, წელში გაიმართა და მეზობლების თვალშიაც საკმაოდ ამაღლდა: მოკლე ხანში მან კაი ახალი სახლი გამოსჭრა, ფიცრის იატაკი დაუფინა და ყავარ-ლურსმით გადახურა; ააგო ახალი სასიმინდე, ახალი ხულა-ბეღელი და ჰურ-მარანი, და სხვაც ბევრი რამ ახალი.

ეგნატე ბევრ წვრილ-შვილის პატრონი იყო და, წინად თუ ყველა შიშველი ჰყავდა, მაგიერად ეხლა ყველანი რიგიანად შეჰმოსა. მისმა ობოლ-ძმისწულებმა თავი ობლობას მაინც ვერ დააღწიეს და ნიადაგ ძონძებსა და კონკებში იყვნენ; ძალიანაც სცხვენოდათ ბიძაშვილებისა და მათთან თამაშობისა, რადგან ისინი კარგ ტანსაცმელში იყვნენ და ამათ ფუნთრუშა ხურცს-კი ნიადაგ მწვირე სჭამდა. როცა ეგნატე მოუტანდა რასმე თავის შვილებს, ობლები, გულ-დაწყვეტილნი შესცქეროდნენ მას და თვალთაგან მდუღარე ცრემლებს აფრქევდნენ. ბიცოლა ტასია დაყვავების მაგიერად წყრომით ეტყოდა გულ-ამოსკვნილ მტირალთ: „იტირეთ, თვარა, თქვენმა სიცოცხლემ, წითელ-ქვითლად დაგკმაზავთ! თქვენთვინ-კი არა, ჩემი შვილებისთვინ არაფერი მაქვს!.. ცივი ჰადი იშოვნეთ და სხვას თქვენც თავი დაანებეთ, თქვე სასიკვდილეებოო!.."

ბიცოლა განთიადისას წამოაგდებდა ლოგინიდგან მზისას, ცეცხლს დაანთებინებდა ქათმებისათვის სიმინდს გააფშვნევინებდა, მერე სახლს დაავლევინებდა და ბაჟშვებისათვის ლეელფში ცომს ჩაასმევინებდა; ამის შემდეგ პირუტყვებს ბალახზედ გაარეკინებდა. ჰადი რომ გამოცხვებოდა, ტასია თავის შვილებს კარგად დაანაყრებდა და საცოდავ ობლებს-კი ორ-ორ ლუკმას ძლივს აღირსებდა... ბედ-დამწვრებს კიდეც შიოდათ, კიდეც სწყუროდათ, კიდეც სციოდათ, მაგრამ საკვირველიც ის იყო, რომ იმდენ გაჭირვებას ღვთის შეწევნით ადვილად იტანდნენ: დღითი-დღე წყაროს თვალივით მატულობდნენ და ეგნატეს შვილებს გაცილებით სჯობდნენ როგორც ჯან-საღობით, ისე სილამაზითა და გარეგანის შეხედულობით. მზისა ისეთი მარგალიტი გოგონა იყო, რომ ავ-თვალს არ შეეხედებოდა ვინც მზისას იცნობდა ყველა ასე ამბობდა: „რა იქმნებოდა, რომ შენი კაი ქალობა შენს საცოდავს მშობლებს მოესწრებოდაო...

როცა ეგნატეს შვილები წამოიზარდნენ, იმან ზოგი სოფლის სასწავლებელში მიაბარა და ზოგი-კი ისევ შინ ჰყავდა. ობოლი გიგო ათის წლისა შეიქმნა, თუ არა, ეგნატემ მეზობელს დაუყენა ქირაში. „კლასში ნეტამც ჩემი შვილები გამეზრდებოდეს, თვარა სხვას არ დაეეძებო!" იტყოდა ეგნატე თავის ტასიასებრ გულ-გრილად... მზისა მეთორმეტე წელში უკვე ჩამდგარიყო და წიგნი-კი არ იცოდა. თუმცა სწავლის სურვილი ძალიან ჰქონდა, მაგრამ ბიცოლა ტასია განა იმისთვის მოაცლიდა? დღეში ათას ნაირს საქმეს უჩენდა თავს მზისას გასაკეთებელს და საცოდავს იოტის ოდნად არ ასვენებდა. მზისა, ხანდისხან ნასადილეობით, როცა ტასიას ეძინა, გაიპარებოდა იმ მეზობლისას, რომელსაც მისი ძმა გიგო ედგა და რომლის გასათხოვარმა ქალმა წიგნი კარგად იცოდა; მზისა ეხვეწებოდა ამ ქალს, წიგნი მასწავლე მეცა და ჩემს ძმას გიგოსაცაო, და ასე მალულად სწავლობდა წერა-კითხვას. მერე ისევ შინ ბრუნდებოდა და, თუ ბიცოლა მღვიძარად დაუხვდებოდა, ბევრს წყევლა-კრულვასა და რისხვა-მუქარასა გაიგონებდა მისგან სხვაგან წასვლისათვის.

მზისა ცამეტის წლის უკვე შეიქმნა, მალვითა და დიდი ვაი-ვაგლახით წერა-კითხვა ისწავლა, რის გამოც თავს დიდ ბედნიერად ითვლიდა; წერა-კითხვასთან ბევრი ლოცვებიც ისწავლა, რადგან წიგნის მაგიერად მეზობლის ქალი თავის ხელთ-ნაწერ ლოცვებს აკითხებდა. მზისა ჰრა-კერვასაც ძლიერ ეტანებოდა: თავის ბიძაშვილებს ყოველფერს ის უკერავდა.

#### II

იგანოპისთთვე იდგა. ზურმუხტად ქცეული სიმინდის ჯეჯილი ვაჟკაცის მუხლს ჰფარავდა და დილიდამ საღამომდის მეთოხეების ყანური ციურ რეკასავით გაისმოდა სამარგელ სიმინდებში. საღამოზედ მუშები კანის მარგლას თავს ანებებდნენ, თოხებს მხარზედ იწყობდნენ და გულის გამჩიტებელ ყანურ კრიმანჭულით ოჯახისკენ გაყვებოდნენ. ზოგ მუშას-კი, სახლის სიშო-

# ახალი ამბავი

*** გუშინ, ამ თვის 2, ტფილისის სასახლის ეკკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი გარდაცვალებულ მის იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მეუღლის ოლგა თეოდორეს ასულის მოსახსენებლად. პანაშვიდზე ბრძანდებოდნენ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი გრაფი ტატიშჩევი, საქართველოს ეგზარხოსი მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა პალადი, გენერალ-ადიუტანტი თავ. სვიატოპოლკ მირსკი, სახელმწიფო საბჭოს წევრი დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი ბარონ ნიკოლაი, გენერლობა და დიდ-კაცობა ტფილისისა.

*** დღეს, ამ თვის 3-ს, შუადღის 12 საათზე, მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეგზარხოსი პალადი წირვის შემდეგ პანაშვიდს გადაიხდის დიდის მთავრინას სულის მოსახსენებლად.

ამას გარდა, დღესვე, ნაშუადღევის პირველ საათზე დანიშნულია პანაშვიდი ტფილისის დედათა გიმნაზიაში და ნახევარ საათის შემდეგ—ტფილისის დედათა მის იმპერატორებით უმაღლესობის სახელობაზე დაარსებულს პროგიმნაზიაში.

ტფილისის სხვა ეკკლესიებში პანაშვიდს გადაიხდიან დილის 11 საათზე.

*** საფინანსო კომისიის აზრი ქალაქის ხარჯების შესახებ. გუშინ ჩვენ აღვუთქვით მკითხველებს საფინანსო კომისიის მოსაზრება მოგვეყვანა საქალაქო მართველობაში მოსამსახურეთა შესახებ. კომისიამ გუშინ უკვე წარუდგინა ქალაქის თავს ეს ნაწილი თავის მოხსენებისა. ქალაქის გამგეობის მიერ შედგენილს ხარჯთ-აღრიცხვით ქალაქის გამგეობისათვის ნაანგარიშევი იყო ხარჯად 78,532 მან., სასანიტარო და სავეტერინარო ზედამხედველობისათვის—4,300 მან., ქუჩების წმენდისა და მოკირწვლის ზედამხედველობისათვის 4,200 მ. და ჯამაგირების დასამატებლად 1880 მ., სულ ხარჯი ნაანგარიშევი ჰქონდა გამგეობას 88,912 მან.

კომისიამ ეს ანგარიში ქალაქის თავს წინანდელ 700 თუმანს 100 თუმანი მოაკლდეს, სეკრეტარის ჯამაგირი შეამცირეს 60-ის თუმნითა.

ბუხჰალტერიის განყოფილების შესახებ კომისიამ ის აზრი დაასკვნა, რომ, თუ ეხლანდელი წეს-რიგი ამ განყოფილებისა შეიცვლება, პრაქტიკულად დიდ სარგებლობას მოიტანსო, ამისათვის ან თვით გამგეობამ ან ამისათვის ცალკე ამორჩეულმა კომისიამ შეიმუშაოს და გამოიკვლიოს, რა რიგად შეიძლება ცვლილება იქმნას შემოღებული ბუხჰალტერიაში, როგორი კონტროლი უნდა იყოს გამგეობაში და აგრეთვე კასის წიგნების წარმოება როგორ უნდა შეიცვალოს. ამ ხანად-კი საფინანსო კომისიამ შესაძლებელად დაინახა ბუხჰალტერების რიცხვი შემცირდეს, ე, ი. ოთხის მაგიერ—სამი კაცი დარჩეს; ამით ხარჯი შემცირდება 60-ის თუმნითა.

გამგეობის კანცელარიის შესახებ კომისია ამბობს, რომ მართალია მეტად ბევრი საქმეები აქვთ იქ მოსამსახურეთაო, მაგრამ ადვილად შეიძლება საქმის წარმოების გამარტივება და ხარჯის შემცირებაცაო. თუმცა ამას ამბობს, მაგრამ კომისია ჯერ ხანად მაინც არ ჰკისრულობს ახლად შემოსაღები წეს-რიგი თვით შეიმუშაოს და გამგეობას დაავალა, ამის შესახებ თქვენი აზრი გვაუწყეთო.

სავაჭრო-სამეურნეო პოლიცია. დღემდე ქალაქს, ესრედ წოდებული ბიურო ჰქონდა და აქ მოსამსახურე აგენტები ჰკრეფენ ქალაქის ხარჯს. ამათ გარდა ქალაქს ჰყავს სავაჭრო პოლიცია. ეს ორი დაწესებულება კომისიამ შეაერთა და დააწესა სავაჭრო-სამეურნეო პოლიცია, რომლის გამგედ იქნება უფროსი ზედამხედველი. ამ ზედამხედველს 132 თუმ. ჯამაგირი უნდა ჰქონდეს წელიწადში. ქალაქი ექვს უბნად იქნება დაყოფილი და თითოში ცალკე ზედამხედველი იქნება, თავ-თავისის თანაშემწეებით. უბნის ზედამხედველს წელიწადში 96 თუმ. უწესებს საფინანსო კომისია, ხოლო თანაშემწეს—60 თუმანსა. ოთხი ბაზრის ზედამხედველი უნდა იყოს—ამათში ერთი ცხენოსანი—სამს 36—36 თუმანი ექნება ჯამაგირი და ცხენოსანს-კი 60 თუმანი. საქმეთ მწარმოებელს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციისას ექმნება 48 თუმ. 34 ხარჯის მკრეფავი უნდა იყოს და ჯამაგირად თითოს ჰქონდეს 24 თუმ. გამგეობის მიერ ნაანგარიშევთან შედარებით ამ ახალს დაწესებულებას 100 თუმნით ნაკლები ხარჯი უნდება.

სანიტარულ ზედამხედველობისათვის ქალაქში და სასაკლაოზედ ქალაქსა ჰყავდა ერთი ექიმი, ერთი ბეითალი და ერთიც ფერშალი. კომისია ამბობს, რომ ამ ხანად აუცილებლად საჭიროა ქალაქი ორ ნაწილად იქმნას გაყოფილი და თითოში თითო ექიმი დაინიშნოს, რომელსაც ვალად უნდა დაედოს, რომ ჩამოიაროს ხოლმე და დაათვალიეროს ყველა ის ადგილი, სადაც სასმელ-საჭმელი კეთდება, ინახება და იყიდება. ამას გარდა, შეიძლება სასანიტარო კომისიამაც დაავალოს იმათვე სხვა სამსახურიო. ჯამაგირი სასანიტარო ექიმს წელიწადში 90 თუმ. დაუნიშნა კომისიამ; ბეითალს—120 თუმ. და ფერშალს სასაკლაოზედ—60 თუმ.

სატეხნიკო ნაწილს გამგეობისას ყველაზედ უფრო მეტი ხარჯი მოაკლო კომისიამ და საჭიროდ დაინახა, რომ უნდა გაუქმდეს მიწად-მზომელის თანამდებობა და ერთიც ცხენოსან მოხელესი, რომელიც ქუჩების შეკეთებას თვალს ადევნებდა ხოლმეო. ამ გვარად აქ კომისიამ ხარჯი 400 თუმნით შეამცირა.

ქალაქის ვექილისა და იმის თანაშემწეს შესახებ კომისიას გამოარკვია: იმათ თითქმის არა აქვთ ისეთი საქმეები სასამართლოებში, რომ ძნელი იყოს მათი წარმოება, და ამას გარდა რიცხვითაც ისეთი საქმეები წლის განმავლობაში ისე ბევრი არ არისო, ამისათვის ქალაქის ვექილის და მისის თანაშემწეს ადგილები გაუქმებულ იქმნას და სამაგიეროდ დაინიშნოს ერთი ვექილი 60 თუმ. ჯამაგირით წელიწადში და ის ფული, რომელსაც სასამართლოები მიუსაჯავენ საქმის წარმოებისათვის, ხოლო ხარჯი საქმის წარმოებისა-კი ქალაქისა უნდა იყოსო. თუ ქალაქს მძიმე საქმეები შეხვდა სასამართლოებში საწარმოებელი, კერძო ვექილი დაიჭიროს და თითო საქმისათვის ცალკ-ცალკე მოურიგდესო. ამ გვარად, კომისიამ აქ ქალაქის ხარჯი 196 თუმნით შეამოკლა.

საერთოდ რომ ვიანგარიშოთ, საფინანსო კომისიამ ხარჯი ქალაქისა 80.052 მან. იანგარიშა. ეს ანგარიში რომ გამგეობის ანგარიშს შევადაროთ, გამოვა, რომ 8.860 მან. შეუმცირებია კომისიას ამ 1891 წლის ხარჯი.

*** როგორც შევიტყეთ, ამ დიდმარხვის დამლევს ტფილისში ჩამოვა რუსეთის არტისტების ამხანაგობა და აღდგომიდამ დაიწყებს წარმოდგენების მართვას ჩვენს ქალაქში, სათავადაზნაურო ბანკის თეატრის შენობაში. ამ დასში სულ საუკეთესო არტისტები და არტისტი-ქალები არიან პეტერბურგისა და მოსკოვის საიმპერატორო თეატრებისა. მაგალითებრ, მარიუს პეტიპა, როშჩინ-ინსაროვი, ლევიცკი, კონსტანტინოვი, სვობოდინა-ბარიშევისა, მალინოვსკისა, ნემიროვა რალფი და სხვანი მრავალნი.

*** გერმანიის ელჩი ავგუსტო მაბერნი როსტოვიდგან გუშინ ტფილისში ჩამოვიდა.

*** ამ ცოტას ხანში ჩამოუტანიათ ტფილისს იმიერ-კასპიის მხრიდამ 3 ფუთამდე ბამბის თესლი და სხვა-და-სხვა ალაგას დაუთესიათ იმის გასაგებად, თუ სად როგორ იხეირებს იქაურის ჯიშის ბამბა.

*** ქიზიყი: ის იყო გამოზაფხულდა და ჩვენცა ვსთქვით, ახლა-კი შევუდგებით მუშაობას, შევეჭიდებით ბუნებას და იქმნება მოვიჭირნახულოთ რამეო, მაგრამ სწორედ ამ დროს გაჩნდა სხვა-და-სხვა საქმეები და დაგვიძახეს: აბა, რას იზამთ, საჭირო საქმეებიაო. ეს იყო ყველიერებში. მას უკან კალიის კვერცხების ძებნა შეიქმნა საჭირო, ახლა კალია იჩიკება და იმის, საწყვეტად უნდა წავიდეთ. მეტი რა ღონეა: უნდა ყველამ ჩვენი საქმე უკან დავაყენოთ და საყოველთაო საქმეს მივხედოთ. აი, მაგალითად, ამას წინად ორის-სამის სოფლის ხალხი გავედით და ვაკეთეთ ისეთი გზა, რომელიც ჩვენთვის, ესე იგი ქიზიყის სოფლებისათვის სრულიად საჭირო არ არის, მაგრამ მალაკნების სოფლებს-კი დიდს სარგებლობას მისცემს. ასევე გავაკეთეთ ვეჯინის გზა და გზა ზიარის ტყისა წინად.

*** 1 აპრილს, ღამის 3 საათზე, მადათოვის კუნძულზე ფელდბერის ქუდის საკერავ ქარხანაში უეცრად გარდაიცვალა ტფილისის მცხოვრებელი 45 წლის მიხეილ ვასილის ძე ზაქაროვი. მიცვალებულის გვამი საანატომიო სახლში გაჰგზავნეს.

## ქალაქის საბჭო

ორშაბათს, 1 აპრილს, კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს. მორიგ საქმეთა შორის საყურადღებო იყო მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, რომ ნავთლუღის საქალაქო ნავთის ჭა იჯარით მიეცეს ბ-ნს მელეინოვს, რომელსაც 24 წლის განმავლობაში უნდა იღოს ნავთი, უკეთუ აღმოჩნდა, და ქალაქს აძლიოს ფუთზედ ერთი კაპეიკი. საბჭომ დაადგინა, ხმოსანს კარაპეტოვს მიენდოს გამოკვლევა ნავთის ჭისაო. ბ-ნმა კარაპეტოვმა უნდა გამოიძიოს, იქნება უფრო სასარგებლო იყოს ქალაქისთვის, რომ ეს ჭა კირით არავის მიეცეს და თვით ქალაქმა აწარმოვოს ნავთის საქმე, როგორც ამ რვა წლის წინად იყო წარდგენილი საბჭოში ქალაქის გამგეობის მიერ.

აგრეთვე საყურადღებო იყო თხოვნა შუშხუნა წყლების გამყიდველ აკოფოვისა, რომელსაც კირით უჭირავს ქალაქის ადგილები ალექსანდრეს ბაღში. აკოფოვი სჩიოდა, რომ ზემო ბაღში, სადაც ეხლა „საისტორიო მუზეუმ“-ა, ბულვარიდგან შემოსავალი გზები შეკრულია, ხალხი ველარა ჰხედება ჩემს ფარდულს და მუშტარი არა მყავს, რის გამოც ზარალი მაქვსო. ამიტომ სთხოვდა ქალაქის საბჭოს, რომ შემიმცირეთ კირაო. გამგეობა იმ აზრისა იყო, რომ კირასკი ნუ შეუმცირებთ აკოფოვს, საბჭომა სთხოვოს მთავრობას, რომ ბულვარიდგან ჩქარა გაიხსნას გზები ბაღში მოსეირნეთათვისაო. საბჭომ შეიწყნარა გამგეობის წინადადება. ბო-

---

რის გამო, ყანაშივე ჰქონდა კარავ-კონახი და იქვე რჩებოდა. ეგნატეც შორს იყო სახლზედ და მთელი ერთი კვირა შინ არ ყოფილა.

ამ დროს, ერთ საღამოს ტასიას ესტუმრა ერთი მისი შორეული ნათესავი—მეთო, რომელიც დიდი ხანი არა ყოფილიყო ეგნატეს სახლში. მაღალის, წელ-წერწეტა ტანისა იყო, ამაყის შეხედულობისა, ახალს ჩოხა-ახალოხში გამოპრანჭული და მოოქროულ-მოსევადებულ, ქამარ-ხანჯალ-ქილებით მოკმაზული. თავზედ წითელი შარფი ეხვია და ყელზედ თეთრი აბრეშუმის ნასკენი, რომლის წვერები ჩოხის გულის პირებში ჰქონდა ჩადებული; ფეხები სირმით მოქარგულის მესტებით ჰქონდა შემკობილი და გადაწკვერტილი გრძელი ულვაშები სწორედ ყოჩის რქებს მიუგავდა. ეტყობოდა ის იმ ჯურის დასს ეკუთვნოდა, რომელიც სულ იმაზედ ჰფიქრობს, კარგი ჩაიცვ-დაიხუროს, კარგი სვას-ჭამოს, ნიადაგ უქმად იაროს, ქორფა ევებს თავი აწონოს, და მათის ტრფიალით დრო ატაროს და მათთვის, ნიშნად ერთგულებისა სანთელივით დადნეს..

ტასია სიყვარულით მიეგება მეთოს, გაჰკოცნა და მერე კითხვა დაუწყო:

— რავა ხარ, მეთო! რავა დაიკარგე? სწორებ ძალიან მასიამოვნე შენი მოსვლით! მაიკო რავა გყავს? მუცელქნილათ ხომ არაა?..

მეთო და ტასია დიდის სახლის წინა პარმაღში დასხდნენ და საუბრობდნენ. ამ დროს დიდის სახლიდგან გამოვიდა მზისა, სტუმარს შორიდგან თავი დაუკრა და პატარა სამზად სახლისკენ წავიდა. მეთომ მაშინვე ტასიას ჰკითხა მზისას ვინაობა.

— ეს, გენაცვალე, ჩემი მაზლის წულია; დაობლდა, და ახლა მე ვაცმევ, ვახურავ და ვარჩენ. აბა, რა ვქნა, შენი ჭირიმე, ქვეყანა ასთე არ იტყვის!— უპასუხა ტასიამ.

მეთომ კარგად აათვალიერ-ჩაათვალიერა მზისა, ძლიერ მოეწონა, და თვალს ვერ აცილებდა. ტასია სხვა-და-სხვა ამბავს ჰკითხავდა მეთოს, მაგრამ მეთო იშვიათად გამოეპასუხებოდა ხოლმე, ისიც დაბნეულად და არევ-დარევით: მისი ყურადღება და გრძნობა-გონება თავის მომხიბლველ მზისასკენ მიეპყრო და სულ იმაზედ ფიქრობდა, ტასიამაც შეატყო მეთოს, რომ ის სულ სხვა საგანზედ ჰფიქრობსო, და თითქოს იმის გამოსაფხიზლებლად ბავშვებს დაუძახა:

— ბალღებო, მოდით, ბიძიკი ნახეთ, ბიძიკი!

ბავშვები თამამ დაეთხოვნენ და დედასთან მიირბინეს. მეთომ ყველა სათითაოდ დაჰკოცნა და ალერსი მიუძღვნა. მერე პაპიროსი დაახვია. ტასიამ მზისას გაჰკივლა:

—მზისაია, სიფჩქა მოართვი, ან ცეცხლი!

მზისამ წუმწუმა მოართვა სტუმარს. მეთომ ერთხელ კიდევ მოწყურებულის თვალით ახედ-დახედა მზისას, თვალს წყალი დაალევინა, პაპიროსი მოსწია და მზისას სამსახურისთვის მადლი მიუძღვნა...

დაღამდა. ტასიამ და მეთომ ბევრი ილაპარაკეს აქეთურ-იქითური; ამასობაში მზისამ ვახშამი დაამზადა და პატარიდგან დიდ სახლში გაიტანა... ივახშმეს... ტასიამ თავისთვის და თავის შვილებისათვის მზისას ლოგინი პატარა სახლში გაატანინა. ამ დროს მეთომ გაიხმო ცალკე ტასია და რაღაც საიდუმლოდ უთხრა... ტასია ჩაფიქრდა და ერთ ხანს პასუხი არ გასცა, შემდეგ-კი თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია... მეთომ ჯიბიდგან ქისა ამოიღო, რამდენიმე ქაღალდის ფული გადააწყო ცალკე და ტასიას ფარულად მისცა... ტასია თავის შვილებით მეთოს გამოემშვიდობა და პატარა სახლში გავიდა მოსასვენებლად. მზისას უთხრა: „მეთოს კარგად მოუსვენე დიდს სახლში და შენც იქ დაწექიო!..“

მზისას ძალიან ეუცა ბიცოლა ტასიას მიერ ასეთი განკარგულება, ძლიერ შესწუხდა, აღშფოთდა და გულმა ბანძგალი დაუწყო. ბიცოლას წინააღმდეგობას ვერ გაუბედავდა და რა ექმნა, არ იცოდა...

III

სწორედ საამური ღამე იყო. მთვარე თავის სავსებით კაშკაშებდა მოწმენდილს ცაზედ. ვარსკვლავები ოდნავ ციმციმებდა; თავ-თავისი მცირედი წვლილი ისედაც შუქ-მდიდრისა და სავსე-სრულის მთვარისათვის მიეძლვნათ და თვით-კი გაქრობას ჰლამოდნენ. მთვარის მთრთოლვარე სხივებს ისე აეფერადებინა არე-მარე, რომ ნამდვილ სამოთხისათვის დაემსგავსებინა. არსად სანთელი არა ჰბჟუტავდა; ყველგან ძილი და მოსვენება ჰსუფევდა, და ბუნება სამარისებურად სდუმდა. არ ეძინათ მხოლოდ მინდვრის თავ-აღერილ ბალახებს, რომელნიც ზეცის მიერ უხვად მოფენილს ცვარ-ნამში ერთიანად ყურყუმალაობდნენ და განუსაზღვრელ სიხარულ-განცხრომით ცხოვრებდნენ. აი, სწორედ იმ დროს, როს ისეთი მყუდროება ჰსუფევდა, რომ ერთი ფოთლის ოდნავ გარყევაც-კი ჯეროვანს ყურადღებას მიიპყრობდა, ეგნატეს სახლიდგან რაღაცა ზარის დამცემი წივილ-წრიპინი გამოსკდა და გაიელვა ცის სივრცეში. პირველს მოჰყვა მეორე და მესამე... კაცს რომ ყური დაეგდო, ვერაფერ გამორკვეულ აზრზედ ვერ დადგებოდა: შეიძლება, ეფიქრნა, რომ, უთუოდ კატამ ვირთაგვა დაანაბულა, ან დედალორმა გოჭი მოიყოლა და გასრისაო. დიდ სახლში-კი ამ დროს შემდეგი საზიზღარი ამბავი ხდებოდა: ის უმანკო მზისა, რომელიც დღემდის იმ ზომამდინ გულ-სპეტაკი და გულ-უბრყვილო იყო, ზნე-ხასიათის დამამხობელ გამქარწყლელ ბიწიერებას თავი ვერ ერჩინა,

ლოს განხილულ იქმნა არზა ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებისა, რომელიც სთხოვდა საბჭოს, რომ მოსაფიქრებლად ექვსი თვე მაინც მოგვეცით ახალის ლიანდაგის გაყვანისათვის დიდუბიდგან მოკიდებული ნავთლუხამდე, რადგან ეს დიდი მანძილია და უცებ ვერ გადავწყვეტთ ამ გზის გაყვანის საქმესაო. საბჭომ დაადგინა, საკმარისია ის ვადა, რომელიც მისცა საზოგადოებას ქალაქის გამგეობამ, ე. ი. სამი თვე, 16 თებერვლიდგან მოკიდებული 16 მაისამდე. თუ ამ ხანში საზოგადოებამ არ მოგვცა გადაწყვეტილი პასუხი, ამ ლიანდაგის გაყვანის უფლებას სხვა საზოგადოებას დავუთმობთო.

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები წყალ-წასაღები ამბები)

რამდენი ხანია, რომ ლევ-ტოლსტოი ჰქადაგებს ღვინის სმისა და თამბაქოს წევის მავნებლობას; რამდენი ხანია, ურჩევს კაცობრიობას, რომ თავი დაანებე ერთსაც და მეორესაც თორემ გადაშენდებით და სრულიადაც აღიგვები პირისაგან ქვეყნისა, რადგან მაგარ სასმელთა ხმარებასა და თამბაქოს წევას ჯანისა და გონების დასუსტება და დაძაბუნება მოსდევსო. მაგრამ სად არის კაცი, რომ ეს კეთილი რჩევა დაიჯეროს! კაი მთქმელს კაი გამგონეც უნდა და გაგონებას კიდევ გონების სიფხიზლე, ხოლო ეს გონების სიფხიზლე სადღა შერჩება იმისთანა ადამიანს, რომელიც ნიადაგ ბახუსის წინაშეა მუხლ-მოდრეკილი. ტოლსტოის რჩევა-დარიგება ბევრს სიცილად არ ეყო. ჩვენც, მე და შენ, მკითხველო, რასაკვირველია, გაგვეცინება, რომ ვინმემ ღვინის სმა დაგვიშალოს და თამბაქოს წევა აღგვიკრძალოს. უღვინოდ ჩვენი სიცოცხლე რა „პრახა-ბოლოკად“ ეღირებოდა!—არაფრად. ჩვენი ნატვრა ნიადაგ ის არის, რომ ვაზის ძირში გვეღირსოს სიკვდილი. მაშასადამე ტოლსტოის ქადაგება ჩვენთვის ამაოა: უკახუროდ რა ეშმაკი და ქაჯი გაგვაძღებინებს! მაშ რა უნდა ვუყოთ დარდსა და ვარამს, თუ ჯიხვის რქაში არ ჩავკალით! მაშ სად გავექცეთ ამდენ ფიქრსა და მწუხარებას, თუ თამბაქოს ბოლს არ გავატანეთ! ჩვენ არ უარვყოფთ ტოლსტოის ჭკუასა და სიბრძნეს, მაგრამ არც ასეთი აზრის შერიგება-შეწყნარება შეგვიძლია. მაშ სხვებთან ერთად ჩვენც უნდა გავიცინოთ, ამ ბრძენს ეგ რა სისულელე წამოსცდენიაო. გავიცინებთ-კი, გაცინება ადვილია, მაგრამ ძნელი ის არის, რომ ეს გაცინება სრულიად ამართლებს ტოლსტოის. ეს გაცინება და გახარხარება ამტკიცებს, რომ გონების სიფხიზლეს მოკლებული ვართ, თორემ თუ ეს ასე არ იყოს, თუ ნიადაგ მთვრალნი არ ვიყოთ, რატომ არ ვხედავთ, რატომ არ გვესმის თუნდ ისეთი ამბავი, როგორიც ამ დღეებში ტფილისში მოხდა და რომელშიაც თავი და თავი დამნაშავე ღვინო იყო და თამბაქო. დიახ, ღვინო და თამბაქო. ჯარის-კაცად ნამყოფმა მარკ ლაფშემ მთელის დღის განმაელობაში სვა და იქეიფა, იქეიფა და სვა, თან, რასაკვირველია, თამბაქოც აბოლა და იქამდე მივიდა, როცა „ცა ქუდად აღარ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად“ (არ მიაჩნდა იმიტომ, რომ ფეხებიც უარს ეუბნებოდა სამსახურისას და თავიც; და რა ეშმაკად უნდოდა ან ქალამანი, ან ქუდი!), დაწვა, მოკიდებული პაპიროსი ჩაიყოლია ლოგინში და დაეძინა. ალბად იფიქრა, ჩემთან ერთად პაპიროსსაც დაეძინებაო, მაგრამ მოსტყუვდა. პაპიროსისაგან ცეცხლი ქვეშაგებს მოედო და კვამლმა საბრალო ლაფშე დაახრჩო. ამ ამბავზე უფრო მჭევრ-მეტყველად ღვინისა და თუთუნის მავნებლობაზე—იმ რაღაც „ნიკოტინსაც“ რომ თავი დავანებოთ—თითონ ტოლსტოიც ვერ ილაპარაკებს.

საცოდავის ლაფშეს სიკვდილის მიზეზი ხომ ღვინო და თამბაქო იყო, ორივე ერთად, ხოლო გელათის მონასტერში ცეცხლის გაჩენა-კი მარტო თამბაქოს უნდა დაბრალდეს საკუთრად. ვინ იცის, ამისთანა ამბები კიდევ რამდენი მომხდარა, და ჩვენ ყურებამდის არ მოუღწევია. დრო არის დავფიქრდეთ, დავეთანახმოთ ტოლსტოის, დავანებოთ სიცილ-ხარხარს თავი და დავეხსნათ ღვ. .ნ...ს...სმ...ს და თ...ნ...ნ...ს...წ...ე...ს... მაგრამ არა, ბატონო, არ შეგვძლებია: ხომ ხედავთ კალამი აღარ მემორჩილება, რა ვქნათ „ჩვეულება სჯულზე უმტკიცესია“! სიცილს, ღვინოს და თამბაქოს რომ თავი დავანებოთ, მერე ხომ ტირილისა და ცრემლის ღვრაში უნდა დავალამოთ ჩვენი სიცოცხლე. მაშ

ისევ და ისევ ღვინითა. .
დრო გავატაროთ ლხინითა!

ვინც რა უნდა თქვას, ვისაც რა უნდა, ის დაემართოს.

კალამი

## ნ ა რ კ ვ ე ვ ი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მეცნიერმა შერცლმა რამდენიმე საყურადღებო წერილი დაჰბეჭდა ამას წინად თავისს ფილოლოგიურ გამოკვლევათა შესახებ. ერთი წერილი, სხვათა შორის, ჩინეთის ზნე ჩვეულებათა გამოკვლევასაც უძღვნა და მართლაც საინტერესო ცნობები მოჰყავს ამ ხალხის შესახებ. აი რას ამბობს, მაგალითებრ, ბ-ნი შ ე რ ც ლ ი ჩინეთის ლიტერატურის შესახებ:

ხასიათის სიფხიზლის და სიმტკიცის გამო ჩინელი პოეტურს ოცნებობას ვერ გასდევნებია სულითა და გულით და ამიტომაც ჩინელების ლექსები იგივე აროშა, რითმით დაწერილი. ამიტომვე ჩინეთის სიტყვიერებაში საპატიო ადგილი უჭირავს ისტორიას, რადგან ფრიად კეთილ-სინიდისიერად არის დაწერილი, დიდის მიუდგომლობით წვლილად აღნუსხული და გამოძიებული. ამავე მიზეზის გამო ჩინეთის რომანების მწერლებს ისტორიკოსები უფრო სამართლიანად ჰყოდებათ, მაშინ როდესაც, პირიქით, ფანტაზიით სავსე ერნი (მაგალითებრ, ინდოელები) ისტორიის წერის დროსაც-კი რომანსა სწერენ, თუმცა ისე ჰგონიათ, რომ ჩვენი რომანი ისტორიააო. ჩინელების რომანი მეტად ერთ-ფეროვანია, ერთ გვარად და ერთ-რიგად აგინძული, მხოლოდ საუცხოვო მასალაა იმისთვის, ვინც მოწადინებულია იმათის ხასიათისა, კულტურისა და ქვეყნის ზნე ჩვეულებათა შესწავლას. რომანსა და სათეატრო თხზულებას ჩვეულებრივ არაკად ისა აქვს, რომ დასატუქია კაცი და აღნიშნულია აგრეთვე იმისი ავი თუ კარგი დამოკიდებულება საზოგადოების მიმართ, იმისი ბიწიერება, იმისი საქციელი და ცხოვრება და ენაც-კი გულ-წრფელობა და გულუბრყვილობა გაიმარჯვებს ებრძვის, პატიოსანი კაცი ავაზაკს გაჰმკლავდება. რომანის გმირი თითქმის ყოველთვის უმაწვილი კაცია, ნიჭიერი, კარგის ხასიათისა, დიდი თაყვანის-მცემელი მწერლებისა, ძველს ენასა სწავლობს და ამას გარდა დიდის ხელოვნებით სთხზავს ლექსებს.

დიდს სწავლას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მოთხრობებსა და რომანებშიაც-კი ნასწავლი გმირი უთუოდ ყოველთვის ბედნიერი გამოდის. ძალიან ხშირია ჩინელების რომანში, რომ ნასწავლი ყმაწვილი კაცი, რომელსაც ყოველივე ეგზამენი ჩინებულად დაუჭერია, ლამაზსა და მდიდარს, კარგის გვარიშვილის ქალს ირთავს, ხშირად პრინცის ქალიც კი შეჰხვდება ხოლმე ცოლად. ასეთი შინაარსი მტკნარის ფანტაზიის ნაყოფი არ არის, რადგან თვითცხოვრებაშიაც ხშირი ამბავია ასეთი შემთხვევა. ჩინეთში, რომ სწავლას დიდი პატივის-ცემა აქვს და დიდადაც არის მიჩნეული, ამას, სხვათა შორის, შემდეგი მაგალითიც ამტკიცებს.

განსვენებულის იმპერატორის ქალიშვილი, პრინცესა ლი-ვან-რე, ერთხელ წარმოდგენაზედ დაესწრო. თამაშობდნენ რაღაც რთულს, ხრიკებით სავსე პიესას, რომელიც იმულებულ იქმნენ ზედ შუა ადგილას შეეწყვიტათ, რადგან ერთი მომღერალ-არტისტთაგანი უეცრად ავად გახდა და თამაშობა ველარ შესძლო. მაშინ სცენაზედ გამოვიდა ვიღაც უცნობი ყმაწვილი კაცი და ყველანი გააოცა თავისის საქციელით: გამოაცხადა, რომ ნუ გეფიქრებათ, წარმოდგენას ნუ შესწყვეტთ, რადგან ავად გამხდარ არტისტის მაგიერობას მე გავწევ და იმის როლს მე წავიკითხავო. ყველანი დასთანხმდნენ და ყმაწვილმა კაცმა თავისი როლი ისეთის ხელოვნებით, ისე ლაზათიანათ წაიკითხა, რომ აღტაცებაში მოსულმა საზოგადოებამ დაასრულე ხანგრძლივის ტაშის კვრით დააჯილდოვა. მართლაც-და დიდი ცოდნა და დიდი უნარი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ მოუმზადებლივ, უცბად ჩინური ხელთ ნაწერი წაიკითხოს. მეორე დღეს ამ ყმაწვილ კაცთან მივიდა ერთი მანდარინი, რომელსაც ქუდზე ცის-ფერი ფოლაქი ჰქონდა მიკერებული (ნიშანი პირველ წარჩინებულობისა) და პირდაპირ ჰკითხა:

— ვარსკვლავთ მრიცხველობა იცი?

— ვიცი, როგორ არ ვიცი, როდესაც სწავლა დამთავრებული მაქვს, შანგ-ფო-კუს სასწავლებელში, სადაც ვარსკვლავთ-მრიცხველობასაც ასწავლიან, მათემატიკასაც და სამკურნალო მეცნიერებასაც.

— თრიაქს ხომ არა სწევ, ან ღვინის სმა ხომ არ გიყვარს.

— თრიაქი შორივით მეჯავრება და სმით-კი ჩაისა და წყლის მეტს არას ვეკარები.

— რამდენი ხანია, რაც ავად არა ყოფილხარ.

— ამ თორმეტის წლის წინად მძიერი ციებ-ცხელება მქონდა, ის ავიტანე და მას შემდეგ ნემსიც არ წამომტკივებია.

— შეირთავ პრინცესა ლი-ვან-რეს?

ყმაწვილმა კაცმა ეჭვის თვალით შეჰხედა თავისს მობაასეს და შემდეგ გადიხარხარა.

— როგორ შევირთავ პრინცესას, როცა გროში არ მომეძებნება, რომ ვიყიდო? (ჩინეთში სასიძომ სასიმამროს ქალში ფული უნდა გადაუხადოს და რამდენსაც მეტს გადაუხდის, მით უფრო ძლიერ აფასებენ იმის სიყვარულს).

— მე შენ გეკითხები, შეირთავ თუ არა-მეთქი. თუ თანახმა ხარ, აი ხუთი ათასი მისხალი ოქრო, გამომართვი, ცათა შვილს, იმის მამას (ე. ი. ჩინეთის იმპერატორს) მიეცი და მოგცემს თავისს ქალს.

რაღა თქმა უნდა, აშკარაა, ქალის მშობლებმა თითონვე გაუგზავნეს სასიძოს ფული, რომ ჩვეულება არ დაერღვიათ. ყმაწვილმა კაცმა პრინცესა შეირთო და იმპერატორის ციხე-დარბაზთა გამგედ იქმნა დანიშნული. ევროპაში რომ ყოფილიყო, ძნელად თუ გადამწერლის და ან სუფლიორის ადგილი ეშოვნოს სადმე...

---

ეხლა ჩავარდნოდა ხელში სინიდისზედ ხელ-აღებულ ქრისტეს მტერს, რომელიც ულმრთოების მორევად ქცეულიყო და რომლის ბოროტებას უნდა შთაენთქა ის უბედური და ცოდვის მსხვერპლად გაეხადა. საბრალო ადამიანი ძალ-ღონეს არ იზოგავდა, მაგრამ თანდათან უძლურდებოდა... მეტი ღონე აღარ იყო: ველარ იხსნეს ის საცოდავი და ყოველ მხრით უნუგეშო ვერც სულისა და გულის მომხიბლველმა ხვეწნა-მუდარამ, ვერც ჯოჯოხეთისებურ წყევლა-კრულვით სავსე რისხვა-მუქარამ და ვერც სისხლშერთულმა ცრემლმა: ღონისაგან გაიცალა, დაიქანცა და დავარდა. ის-ის იყო სპეტაკ-სხივების შარავანდედით მოსილ ქალწულებას სამარადისოდ წამბილწველი ჩირქი ეცხებოდა, მაგრამ ამ დროს, უეცრად, ტანჯულის პირიდგან შურდულებრ ამოსქდა გულის გამგმირი და თმის ამბურძგლელი წივილ-კივილი და უეცრივვე შესწყდა...

### IV

ჯერ კიდევ კარგა არ გათენებულიყო... სტუმარს უკვე ტანთ ჩაეცვა და გარედ გამოსულიყო. სახე ერთობ დაღვრემილი ჰქონდა. პატარა სახლის კარზედ მიდგა, დაარაკუნა და ტასია გაალვიძა გამოსამშვიდობებლად.

— მეთო, გენაცვალე, რა მიგაჩქარებს? მარხვა კია, მარა უპატივცემულოდ რავა გაგიშვა, გათენებამდი მეითმინე!.. უთხრა ტასიამ.

— არა, გმადლობთ, ძალიან მეჩქარება: „სტანციაში“ უნდა გევიარო, საყიდელი მაქ!..

ტასია პერანგისამარა ადგა, სახლის კარი ოდნავ გამოაღო, ხელი გამოჰყო, მეთოს ჩამოართვა და უთხრა:

— შვიდობით, გენაცვალე, მაიკოს ჩემაგიერად ათასი აკოცე!..

გათენდა. მზემ გაიელვა აღმოსავლეთისაკენ და ცოტა ხანში მისი ელვარე შუქი ცეცხლებლრივ მოედო ხეებსა და ბანებს. პატარა სახლის ჭუჭრუტანებში სინათლის სვეტები შემოეჩხირა. მიძინებულმა ბუზებმა უცბად თვალები აჭყიტეს, ისრები დაილესეს და ბზუილი გააბეს. ბუდეში წიწილები ახხრიალდნენ და კრუხმა კუთვაკრუხუნი იწყო. ტასიას ბავშვებმაც გაიღვიძეს და, ჯერ კიდევ ლოგინში, საჭმელი მოითხოვეს. დედა უყვავებდა და ეუბნებოდა: „დეიცადეთ, შეილებო, ბზისაია, ადგება, და მჭადს გამოვაცხობინებო!“ ბავშვები სასოწარკვეთილებით ღრიალებდნენ და საჭმელს თხოულობდნენ; მზისა-კი არ გამოჩნდა. ბავშვების ღრიანცელით რეტ-დასხმული და გაბოროტებული ტასია ლოგინიდგან ავარდა, და მზისას გაჰკივლა:

— ბზისაია, ბზისაია! ადექი, შე სასი; კვლილე და მიწის გასახეთქო, ბაღნები შიმშილით დემეხოცა!

მაგრამ პასუხი-კი არსაიდგან იყო. ტასიამ კიდევ დაუჩხავლა მზისას, მაგრამ მაინც ვერა გააგონა-რა. მერე მოთმინებიდგან გამოსული და გაანჩხლებული, დიდის სახლისაკენ გაექანა მზისას ლოგინიდგან ჩამოსათრევად. კარი შეაღო; ერთი კიდევ თავისებურად შესჩხავლა და მკვდარცოცხალნი შეუკურთხა. მზისა მაინც შეურყევლად იწვა ლოგინში. ტასია მიუახლოვდა ლოგინს, და შემდეგს სულის შემზარავს სურათს წაადგა ზედ. ფერ-მიხდილი მზისა მოსხლეტილად იდო ლოგინში; საბანი დახუშოდა და მხოლოდ წელსა და მუხლებს შუა დაჰყროდა; მარცხენა ხელი სიპზედ ედო და მარჯვენა გვერდზედ გადაეგდო; გული გაღეღილი ჰქონდა, და მაისის ვარდის კოკრებისებური ძუძუები დაჟღლეცილი და დამჭკნარი; ღია თვალებში ცრემლი არ შეშრობოდა; მაყვლის მსგავსს და იერით სავსე წარბ-წამწამებს სიცოცხლე აღარ ეტყობოდა; მისი ხუჭუჭი თმაგიშერი სულ ერთიანად აშლილ-აწეწილიყო. თვალები ჩაღრმავებოდა და ჩაშავებოდა; იმის დაღვრემილ სახეზედ ათას ნაირი ტანჯვა-მწუხარება იყო აღბეჭდილი... სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა...

ამ სურათის მნახველი ტასია შიშისაგან ჯერ გაქვავდა, მერე აცახცახდა. „ვაიმე, ვაიმე!.. ბზისაია!.. შვილო!.. რა დაგემართა?.. მკვდარი ხარ?.. ვაი შენს ბიცოლას!.. ამას რას ეხედავ?.. მიშველეთ!.. ვაიმე!.. მიშველეთო!.. და ძალ-უნებურად, თავშეუკავებლად გაება სოფელ-კუთხის შემზარავ-შემშფოთებელი წივილი...

მეზობლებიც თავ-მოგლეჯილები შეცვივდნენ ეგნატეს სახლში და, რა ნახეს გულ-საკლავი სანახაობა, ყველას გულს ელდა ეცა, მორთეს ღრიალი და მხურვალე ცრემლებით აპკურებდნენ უმანკო მიცვალებულის გაციებულს გვამს. ყველას აკვირვებდა მზისას ასეთი უეცარი სიკვდილი და ცრემლების ფრქვევის დროს ბევრი ჩაჰკითხავდა ხოლმე ატირებული:

— ასე უეცრად რა დაგემართა, შე ბედ-დამწვარო?.. ასე მოულოდნელად რამ მოგვტაცა შენი უმანკო სული და რამ მოსპო შენი მშვენიერი ქალიშვილობა?..

მაგრამ კითხვა კითხვადვე რჩებოდა და პასუხი-კი არა ისმოდა... საუკუნო ძილს ღრმად შეეკრა მზისა, აქაურობის აღარა ხწამდა-რა, არა ესმოდა-რა. იმის ნარნარს სახეზედ ეწერა ყოველივე ის, რაც თავს გადახდოდა წუთი-სოფლის ცბიერებით და რასაც მისთვის უდროოდ შეეძაგებინა, ისედაც წუთიერი სიცოცხლე ამოეკვეთებინა. ამას საიდუმლოდ კითხულობდა მხოლოდ იუდა-ტასია, რომელსაც პირუტყვულმა გრძნობა-ანგარიშმა სული დააკარგვინა და რომელმაც მოკლე სიცოცხლე ჭირითა და ვარამით აუვსო საცოდავს არსებას...

გი—გი ბ—ერია

## წვრილი ამბები

### იტალიის მეფე

გერმანიისა და ავსტრიის იმპერატორთა ცხოვრების ავ-კარგიანობა მოკლედ გადავეცით მკითხველთ; ორიოდე სიტყვა იტალიის მეფის ყოფა-ცხოვრების შესახებაც უნდა გსთქვათ, რადგანაც ეს გვირგვინოსანი მესამე ბურჯია იმ დიდი შენობისა, რომელსაც „სამთა კავშირი“ ეწოდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, იტალიის მეფე პრინცი ჰუმბერტო იმდენი მნიშვნელობისა და გავლენის პატრონი არ არის, რამდენადაც იმისი თანამოკავშირენი. 1868 წ. ჰუმბერტომ ჯვარი დაიწერა გენუელის პრინცის ასულ მარგარიტაზე, რომელიც 1850 წელშია დაბადებული და შვიდი წლით ახალგაზდაა მეფეზე. ახალგაზდობისას დედოფალი მეტის-მეტი ლამაზი იყო და განსაკუთრებით თავის მომხიბლველ-მომნადირებელის ღიმილით იყო განთქმული.

გამეფებისათანავე ჰუმბერტოს სასახლის ხარჯთა შემცირება გაუხდა საზრუნავად. მამა მისი ვერ იყო დამზოგველი კაცი, ბევრი უთავ-ბოლო ხარჯი იცოდა, რის გამოც ბევრი ვალი დატოვა, რომლის გადახდა ჰუმბერტოს დაეკისრა. ჰუმბერტომ ისე მშვიდად და თავ-დაჭერით დაიწყო ცხოვრება, რომ რამდენსამე წელიწადში მამის ვალიც გადიხადა და ამასთანავე, ცოტა არ იყოს, გაჭირებისათვისაც გადასდო. სამწუხაროდ, მეფის მყუდროსა და თავ-დაჭერილს ცხოვრებას დედოფალი უშლის ხელს, რომელსაც დაზოგვა ჩვეულებად არა აქვს. ყველაფერი რომ დაიგლოს და მოითმინოს, ვერაფერს დაიგლებს იქიდამ, რაც იმის მორთვა-მოკაზმვას შეეხება და იმისი მორთვა-მოკაზმვა სახუმრო საქმე არ არის და მაინც დიდ-ძალი ფული იხარჯება.

დედოფალს მარგარიტას, თუმცა ჩინებული განათლება და კარგი აღზრდა მიუღია და თუმცა დიდად ჭკვიანია, მაინც საპოლიტიკო საქმეებში გარევა არაფრად ეპიტნიკება. იმისი საყვარელი და სატრფიალო საქმე მუსიკაა. დედოფალი დიდის სიამოვნებით სტუმრად იღებს საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეთა, მსახიობთა, პოეტთა, ლიტერატორთა და სხვ.

მეფე ყველაფერში და ყოველთვის მადლიერია დედოფლისა, რის გამოც იმათი ცხოვრება ნიადაგ წყნარად და აუშფოთებლად მიდის. ხოლო თუ ოდესმე რაშიმე ვერ მოწყვებიან და ვერ მოთავსდებიან, ისევ უბრალოსა და ფუქსავატს საქმეში. მაგალითად დედოფალს მეფის ჭაღარა-შერთული თმა არ მოეწონა და დაუჟინა, გინდა თუ არა თმა უნდა შეიღებოო და პარიჟიდამ საღებავი წამალიც გამოუწერა. დედოფალს იმედი ჰქონდა, რომ, რაც უნდა გახდეს, ჩემსას გავიტან, რომელსაც მეფე გააგონებს დედოფალს, ის არის, რომ ამდენს ნუ ხარჯავ მორთვა-მოკაზმვაშიო. ერთხელ გაიგო, რომ ნისიად ნახარჯი დედოფლისა ბევრი შესდგაო და ჩუმად გადაიხადა, რაც დედოფალს ემართა, ხოლო ანგარიში დაბადების დღეს საჩუქრის მაგივრად უფეშქაშა. ამ ამბავმა,—როგორც ამბობენ—ცოტა არ იყოს, დააფიქრა თურმე დედოფალი და ამას შემდეგ ხარჯი გაზომიერა.

როცა პარლამენტი თავის საქმეს მორჩება, მეფე და დედოფალი, რომს თავს დაანებებენ და დე-მონცის სიმაგრეში გაემგზავრებიან. აქ მუშაობისა და სეირნობის დრო წინდაწინვე აქვთ განაწილებული. მუშაობას მეფე დილიდგანვე შეუდგება და შემდეგ ამისა დედოფალთან ერთად ქვევითად სეირნობს და ამას შემდეგ-კი სტუმართა და დარბაისელთა მიღება მოხდება. კვირაობით, რადგან წირვა უნდა მოისმინონ, სადილის დროც იცვლება. წირვაზე სამეფო გვარეულობის ყველა წევრნი უნდა დაესწრნენ უსათუოდ. ამ დღეს ეკკლესიის კარები თვით უბრალო გლეხისათვისაც ღია არის. ასეთი ხან-გრძლივი დარჩენა სოფლად და სხვა-და-სხვა ფიზიკური ვარჯიშობა მეფეს ჯანის სისაღესა და სულის სიცხოველეს ჰმატებს. ნადირობა იმისი საყვარელი საქმეა.

## დეპეშა

1 აპრილი

პეტერბურგი. გუშინ გარდაიცვალა დიდი მთავრინა ოლგა თეოდორეს ასული.

დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე გუშინ წაბძანდა ხარკოვს.

„Нов. Вр.“ ია იუწყება, რომ 1 ივლისიდამ შეიკრიბება ცნობანი ებრაელთა რაოდენობის შესახებ პეტერბურგისა, ნოვგოროდისა და ფსკოვის გუბერნიაში იმის გამოსაკვლევად, თუ რა საბუთით ცხოვრობენ ისინი ამ გუბერნიებში.

ხარკოვი. მეზრანინი რეზნიკოვი და ვაჭრის ცოლი მაქსიმენკო, რომელთაც ჰბრალდებოდათ მოწამლვა როსტოვში ვაჭრის მაქსიმენკოსი, ბრალდებულის ქალის ქმრისა, ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს.

ბელგრადი. სკუპშჩინამ გადასწყვიტა თითო მილიონი ფრანკი ეძლეოდეს ყოველ წლივ მილანს მეფის სრულ-წლოვანებამდე.

ათინა. მართლდება ის ხმა, რომ მემკვიდრე პრინცესა სოფიო მართლ-მადიდებელს სარწმუნოებას იღებსო. წესი მონათვლისა აღდგომამდე იქმნება შესრულებულიო. თუმცა ამ საგნის, შესახებ ჯერ ოფიციალურად გამოცხადებული არა არის-რა, მაგრამ ეს ამბავი ნამდვილ ამბავად უნდა ჩაითვალოსო.

### პეტერბურგის ბირჟა, 29 მარტი.

| | მყიდველთა. | გამყიდველთა. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 71 | 6 74 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 134 | 134 1/2 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 03 | 1 05 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 237 1/2 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 221 1/2 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | — „ | — „ | 217 1/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 101 1/2 |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | 101 1/2 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | 98 1/2 |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რავი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კვალზე გემები.

## განცხადებანი

### მიბაძვა ქრისტესი,

თომა კემპელისა

თარგმნილი ლათინურიდგან

პ. ა. მღებრიშვილის მიერ.

წიგნი I, II, III და IV ისყიდება შემდეგს ქალაქებში:

თბილისში: „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, სასულიერო წიგნთ-საკითხავში და ქართველთა წიგნის გამომცემ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში.

გორში: არ. კალანდაძის სტამბასა და ზ. დონდაროვის მაღაზიაში.

ქუთაისში: ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ხონში: ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ოზურგეთში: გ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში.

ახალციხეში: ძველს ქალაქში სომხთა-კათოლიკე მღვდელ გვარამაძესთან.

მოზდოკში: კათოლიკეთა მღვდელპატრ გ. მუთაფოვთან.

ცხინვალში: დურმიშხან ყურულთან.

ყვირილაში: მამა დეკანოზ ღამბაშიძესთან და ფოთში: კოსტა ყაუხჩოვთან.

ფასი მთელის წიგნისა ყდითა და ოთხის სურათით 1 მ. 50 კ., უყდოდა და უსურათოდ 1 მ. (10—5)

### გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

### ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

### ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

1) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ღლიაშვილის მიერ წიგნი I. „ 30
2) იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . . . „ 75
3) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“-თი და ბიოგრაფიით . . . . . . . . . . . . „ 80
4) იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . . 1 25
5) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . . . . „ 15
6) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . . „ 25
7) „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . . „ 20
8) „წყალობა“ პოემა მისივე . . . . . . . „ 20
„ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა . . . . . . . . „ 40
10) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ . . . . . . . . „ 30
11) რამდენიმე ლექსი ცახელის. . . . . . . . . „ 15
12) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . . 1 „
13) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . . . „ 50
14) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . „ 50
15) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა. . „ 60
16) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა. „ 15
17) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა. 1 „
18) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა . . . . 3 50
19) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა . . . . . „ 75
20) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით . . . . „ 80
21) იგივე უყდო . . . . . . . . . . . . „ 60
22) „მიბაძვა ქრისტესი“ წიგნი I და II ყდით . . . . „ 70
23) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა „ 20
24) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა . . „ 20
25) „ძველის დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა „ 25
26) „იავნანამ რაჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა . . . . „ 10
27) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა . . . . „ 20
28) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა . . . . . . „ 40
29) ქანნა—დარკ . . . . . . . . . . . „ 5
30) ბერლინის გარემოცვა . . . . . . . . . „ 5

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ:

*Тифлисъ.* Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“

Лорисъ-Меликовская ул. д. Зубалова.


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

### ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვეით. . . | 10 მ.—კ. | 6 | თვეით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 „ | 5 | „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 „ | 4 | „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ — „ | 3 | „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 „ | 2 | „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 „ | 1 | „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-ვითარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.